

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02-59

ქ. თბილისი

22 თებერვალი, 2012 წელი

ერთის მხრივ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი), სააგენტოს თაემჯდომარის მოადგილის ნინო ინწკირველის სახით და მეორეს მხრივ, შპს „კლინტექ“ (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის ვლადიმერ ჭელიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, №**SPA120004339** გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დაებნ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მომსახურების საფასურიდან მიღებული შემოსავლებით პირადი ჰიგიენის პროდუქტების (CPV33700000) სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონელი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ღარებში.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 5267 (ხუთი ათას ორას სამოცდაშვიდი) ღარს, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ქარხნული წესით შეფუთული, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯით.

4.2 მიწოდების ადგილად ითვლება ქ. თბილისი, აკ. წერეთლის №67ა, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ცენტრალური ოფისის საწყობი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საქონელი მოგვაწოდოს მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.5 საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ (ინსპექტირების ჯგუფი) სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი მანანა ბასილაშვილი და შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი გიორგი მესხი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მხარეთა შორის ანაზღაურება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) დღისა.

6.3 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი წუნის შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;